ია ბლოგი

July 06, 2022

სოციალური პროექტი „ექვთიმე ღვთისკაცი“

ექსკურსია ოზურგეთის რაიონის , სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში

მაკვანეთის საჯარო სკოლა

პროექტის ხელმძღვანელი: რუსუდან ია ქორიძე

კლასი: მე-11

მონაწილეთა რაოდენობა: 8

საგანი: ისტორია

პროექტის განხორციელების ვადა: 3 დღე, 2021 წლის 23-25 ნოემბერი

ექსკურსიის მარშრუტი: მაკვანეთი-ოზურგეთი- ლიხაური

თემა: სახლ-მუზეუმში დაცული ნივთებისა და წერილობითი წყაროების მონახულება , საქართველოს ეროვნული საგანძურის მცველის , ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის **გაცნობა.**

პროექტის მიზანი:

1. ადგილზე ნახონ და გაეცნონ დიდი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების ამსახველ მასალებს.
2. მუზეუმის თვალსაჩინოების ადგილზე ნახვა და შემეცნება
3. მოსწავლეებს განუვითარდებათ მიღებული ინფორმაციის განზოგადების , სინთეზისა და დასკვნების გამოტანის უნარი.
4. მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ წარმოდგენა საქართველოს ეროვნული სიმდიდრის შენახვისა და შენარჩუნების შესახებ.

ესგ სტანდარტები:

მე-11 ისტორია

მოსწავლეს შეუძლია საზოგადოების კულტურის საფუძვლების კვლევა , შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე , მასწავლებლის დახმარებით, გეგმავს და ახორციელებს თავისი მშობლიური კუთხის გამოჩენილი მოღვაწეების ცხოვრების ამსახველი მასალების გაცნობას.

აქტივობები:

1-ლი დღე: საუბარი მოსწავლეებთან , ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის შესახებ, ასევე ნ. ხომასურიძის ფილმის „ექვთიმეს" ჩვენება და განხილვა .

მე-2 დღე: ექსკურსია სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში.

მე-3 დღე: ექსკურსიიდან მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება, სამახსოვრო ბუკლეტების დამზადება.

ექსკურსიის ხელმძღვანელობა მუზეუმის თანამშრომელმა გაუწია, ესაუბრა მოსწავლეებს ექვთიმეს ღვაწლის შესახებ , იმ სიძნელეების შესახებ, რომელიც თან ახლდა ეროვნული საგანძურის შენახვას.

აქვე, მოსწავლეებმა დაათვალიერეს მუზეუმში დაცული ეროვნული საგანძურის რეპროდუქციული ასლები, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები, გააკეთეს ჩანაწერები, რომლის განხილვა და მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა მოხდება სკოლაში, წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით:

დროება	სწავლა	რას ისწავლიან	შეფასება

[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
იმსჯელებენ რა იცოდნენ რ სახლ-მუზეუმის შესახებ	რა ცოდნა შეიძინეს , რა იყო მნიშვნელოვანი	სახლში დაბრუნების შემდეგ რას დაუმატებენ საკუთარი ცოდნის გასამდიდრებლად	რამდენად გამართლდა მოლოდინი, კლასში გვექნება მსჯელობა , დავუკავშირებთ გაკვეთილის თემას საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ

რესურსი: ფოტოაპარატი, ბლოკნოტები ჩანაწერებისათვის.

რეფლექსია

აღნიშნული სოციალური პროექტის მიზანს წარმოადგენდა , ეროვნული მოღვაწის, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის დათვალიერება და მისი ღვაწლის გაცნობა. წინასწარ დავგეგმეთ ექსკურსია, საკითხი შევათანხმეთ სკოლის ადმინისტრაციასთან და მშობლებთან. ღონისძიება დავიწყეთ პირველი დღის აქტივობით, მოსწავლეებს ვაჩვენე ნ. ხომასურიძის ფილმი, ჩვენების შემდეგ მოხდა ფილმის განხილვა . მეორე დღეს ვესტუმრეთ სოფელ ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმს, გავეცანით სამუზეუმო მასალას, მოსწავლეები მუზეუმიდან ემოციურად დატვირთულები გამოვიდნენ, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. სკოლაში დაბრუნების შემდეგ მოხდა ექსკურსიის განხილვა-შეჯამება.

უმჯობესი იქნებოდა , მოსწავლეებს თვითონ გაეკეთებინათ პრეზენტაცია მუზეუმში, რასაც გავითვალისწინებ მომავალი სასწავლო წლისთვის. აღნიშნულ მუზეუმში ჩავატარებ გაკვეთილს . საბოლოო ჯამში, ექსკურსია ძალიან საინტერესო იყო.

პროექტზე მუშაობის დროს , მოსწავლეებმა შეიძინეს საკვლევ თემაზე მუშაობის უნარები, მასალის მოძიება, დამუშავება-დახარისხება და ისწავლეს Microsoft Powerpoint-ის საშუალებით პრეზენტაციის გაკეთება , პროექტზე მუშაობამ განუვითარათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და თანამშრომლობის უნარი. პროექტზე მუშაობას ვთვლი

დამაკმაყოფილებლად , რადგანაც გაიზარდა ინფორმირებულობის დონე მოსწავლეების , რაც ხელს შეუწყობს სრულფასოვანი მოქალაქეების ჩამოყალიბებას.